

ISSN 1512-0325

saqar T vel o s ker ami ko sT a aso ci aci i s Jur nal i  
**JOURNAL OF THE GEORGIAN CERAMISTS' ASSOCIATION**



ker ami ka **CERAMICS**

da mowinave  
teqnol ogi ebi

**AND ADVANCED  
TECHNOLOGIES**

samecni er o-teqni kuri da sawarmoo il ustrirebuli,  
registrirebuli, referirebadi Jurnal i

*Vol. 20. 2(40).2018*

## სარედაქტო პოლიტიკა:

- გ. ბიბილაშვილი, გ. გაფრინდაშვილი (მთ. რედ. მოადგილე), ნ. გელოვანი, ლ. გვასალია, ა. გრიგოლიშვილი, ელ. ელიზარაშვილი, დ. ერისთავი, ლ. თოფურია, რ. თურმანიძე, ი. კახნიაშვილი, მ. კეკელიძე, ზ. კოვზირიძე (მთ. რედაქტორი), ნ. კუციავა, ნ. ლოლაძე, მ. მაისურაძე, ნ. მარგიანი, ზ. მესტვირიშვილი, ო. მიქაძე, გ. მუმლაძე, მ. მუჯირი, ნ. შევდლიშვილი, ნ. ნიუარაძე (პასუხისმგებელი მდივანი), დ. ნოზაძე, ა. სარუხანიშვილი (მთ. რედ. მოად.), გ. ტაბატაძე, ი. ქაშაკაშვილი, რ. ქაცარავა, ე. შაფაქიძე, ჰ. შენგელია, მ. ცინცაძე, რ. ხუროძე, თ. ჭერიშვილი, მ. ხუციშვილი, დ. ჯინგარაძე

## **EDITORIAL BOARD:**

**M. Bibilashvili, T. Cheishvili, E. Elizbarashvili, D. Eristavi, G. Gaprindashvili** (vice-editor-in-chief),  
**N. Gelovani, A. Grigolishvili, L. Gvasalia, D. Jincharadze, R. Katsarava, I. Kakhniashvili, M. Kekelidze,**  
**R. Khurodze, M. Khutsishvili, Z. Kovziridze** (editor-in-chief), **N. Kuciava, N. Loladze, M. Maisuradze,**  
**N. Margiani, N. Mchedlishvili, O. Miqadze, Z. Mestvirishvili, G. Mumladze, M. Mujiri, N. Nizharadze**  
(executive secretary), **D. Nozadze, I. Qashakashvili, A. Sarukhanishvili** (vice-editor-in-chief), **E. Shapakidze,**  
**J. Shengelia, G. Tabatadze, L. Topuria, M. Tsintsadze, R. Turmanidze**

## **РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:**

**М. Бибилашвили, Г. Гаприндашвили** (заместитель главного редактора), **Л. Гвасалия, Н. Геловани, А. Григолишвили, Д. Джинчарадзе, И. Кахниашвили, Р. Кацарава, И. Кашакашвили, М. Кекелидзе, З. Ковзиридзе** (главный редактор), **Н. Куциава, Н. Лоладзе, М. Маисурадзе, Н. Маргиани, З. Мествиришвили, О. Микадзе, М. Муджири, Г. Мумладзе, Н. Мchedлишвили, Н. Нижарадзе** (ответственный секретарь), **Д. Нозадзе, А. Саруханишвили** (заместитель главного редактора), **Г. Табатадзе, Л. Топуриа, Р. Турманидзе, М. Хуцишвили, М. Цинцадзе, Е. Шапакидзе, Дж. Шенгелия, Р. Хуродзе, Т. Чеишвили, Э. Элизбарашвили, Д. Эристави**

## შურალში „პერამიკა“ გამოქვეყნებული სტატიების

შურნალში აგრეთვე  
შესაძლებელია განოიავსდეს

- ✓ අභාය තුශ්කිරා, මෙන්පුරුදිලිංගඩා පාන්තර්මිනිත දා නාරම්පලෝධී තුශ්කිරා-රු-රු ගැඹායාරාඟුවා.
- ✓ සානුදෙළුවුලු බාංසිස ගෘන්ටියා-රුජා, ගෙදෙළුවුලා රාජිනාන්දුරු ගම්පුරුදුවා, මාත ඡ්‍යෙනිස් අදගිලුප-රුවා නාරම්පලෝධී නාරින්දුවා.
- ✓ ගුරුශ්වර- දා ගුරුශ්වරයාහිත් මෙන්පුරුදු තුශ්කිරාංගවුලු ගාරුම්පලිස දාපුවා.
- ✓ සාන්තර්මිනා පාසුජ්‍රන්දු මෙන්පුරුදු-රුජා සාපාදන්තර පිරින්ජ්‍යාප්ති, යුගුණිමි-රා, මාරු ගුණ්ඩ්‍රින්ගා.
- ✓ සාජාර්ත්තා ගම්පුරුදුවා.
- ✓ ගිජාත්ත්තා ගිජාත්ත්තා.

Digitized by srujanika@gmail.com

გამოყენების სფეროები

- ენერგეტიკა
  - მშენებლობა
  - სახალხო მოხმარების საგნები
  - ქიმია და ქიმიური ტექნოლოგია
  - მასალათმცოდნება
  - მეტალურგია
  - ყლეპტირნიკა და ყლეპტიროლექნიკა
  - მედიცინა
  - ოპტიკა
  - სხვა სფეროები
  - გარემოს დაცვა

**შაბ 6219.02**

**მასალათა მექანიკური მახასიათებლების დამოკიდებულების ფორმულა  
მატრიცაში პრისტალზრ ზაზაზე**

**ზ. კოვშირიძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ბიონანოგერამიკისა და ნანოკომპოზიტების ტექნოლოგიის  
ინსტიტუტი. საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 69

E-mail: kowsiri@gtu.ge

**რეზიუმე:** **მიზანი.** მასალათმცოდნებასა და ზოგადად ნაკეთობათა ინდუსტრიაში ხანგრძლივი მუშაობისათვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კონსოლიდირებული სხეულის მაკრომექანიკური თვისებების დამოკიდებულებას კრისტალური ფაზის შემცველობაზე, ზომებზე, ფორმაზე, გადანაწილებაზე მატრიცაში და ფორმის ფაქტორზე. კერამიკისა და კერამიკული კომპოზიციების ტექნიკის საბასუხისმგებლო დარგებში შემაობის დროს, აღნიშნულ თვისებებს ხანმედეგობის და ხანგამდებობის თვალსაზრისით უდიდესი როლი ენიჭება, მმიმე მექანიკური დატვირთვის პირობებში. მასალათა მექანიკური სიმტკიცის ან დეფორმაციის სხვადასხვა კონკრეტული სახეობების მომართ ნაკეთობის წინაღობის დასახასიათებლად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კრისტალურ ფაზასაც. ის განსაკუთრებულ როლს თამაშობს მასალათა მექანიკისა და მატრიცული თვისებების კორელაციურ ახსნაში. ჩვენ შემთხვევაში კი, კერამიკული მასალებისა და კომპოზიციების დაშლის პროცესში, მასალათა მაკრო- და მიკრომექანიკური თვისებების, მაკრო- და მიკროსტრუქტურული მდგრელის-კრისტალური ფაზის როლის შესახებ, მასალათა სტაბილურიდან მეტასტაბილურ მდგომარეობაში გადასცლის პროცესში ამომწურავ ასაუხს მოგცემს. ჩვენი სამუშაოს მიზანია შემუშავდეს კერამიკისა და კერამიკული კომპოზიციების მაკრომექანიკური თვისებების, სტრუქტურაში ყველაზე ძლიერი მდგრელის-კრისტალურ ფაზაზე დამოკიდებულების ფორმულა, რაც თეორეტიკოსებს და პრაქტიკოსებს საშუალებას მისცემს სწორად შეარჩიონ და განვითარონ ტექნოლოგიები და მასთან დაკავშორებული ტექნოლოგიური პროცესები.

**ძეთვდი.** კერამიკისა და კერამიკული კომპოზიციების მიკრო- და მაკროსტრუქტურული, მიკრო- და მაკრომექანიკური მასასიათებლების, კრისტალური ფაზის მორფოლოგიის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, განისაზღვრა და შეიქმნა ფორმულის პარამეტრები.

**შედეგები.** ფორმულა მოიცავს ნაკეთობის მთლიანად დაშლის მაკრომექანიკურ თვისებებს: მექანიკას დუნგაზე სამი და ოთხერცილიანი

დატვირთვით, მექანიკას კუმშვაზე, მორფოლოგიური მახასიათებლებიდან კი: კრისტალური ფაზის შემცველობას და მათ გადანაწილებას მატრიცაში, ზომებს, ფორმის ფაქტორს. აღნიშნული თვისებების კორელაციურ დამოკიდებულებას. მოცემულია კრისტალური ფაზის მატრიცაში გადანაწილების ფაქტორის სრულიად ახალი განსაზღვრება.

**დასკვნა.** შემთხილი ფორმულა არის კერამიკისათვის და მისი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი კერამიკული მასალებისა და კერამიკული კომპოზიტების ტექნოლოგიაში. ფორმულა არაქტიკული საქმიანობით დაკავებულ პირებს დაეხმარება სწორად დაგვგმონ და ზუსტად შეასრულონ წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ყველა პოზიცია, სწორად წარმართონ ნაკეთობათა წარმოების ტექნოლოგიის ყველაზე საბასუხისმგებლო-თერმული დამუშავების პროცესი, დაადგინონ კორელაცია მასალათა მექანიკურ და მატრიცულ თვისებებს შორის.

**საკვანძო სიტყვები:** ფორმულა; მარტიცა; კორელაცია; მასალა; მექანიკური თვისებები; კრისტალური ფაზა.

## 1. შესავალი

კრისტალების დაშლა მიმდინარეობს ორ სტადიად. პირველი ბზარის წარმოქმნაა, შეორე – მისი ზრდა, ნიმუშის მთლიანად დაშლამდე. ამ პროცესის სიჩქარე მთლიანობაში, შესაძლებელია გაკონტროლდეს ნებისმიერი სტადიის მიმდინარეობის სიჩქარით. დაშლის პროცესი საკმაოდ როგორია. უმნიშვნელოვანებია იმ ძირითადი ფაქტორების გავლენა, რომლებიც მიმდინარეობს დაშლის პროცესში. დაიმზირება, რომ მყიფე იზოტოპული მასალები იშლება მაშინ, როდესაც რომელიმე მიმართულებით მიღწევა კრიტიკული გამჭიმი დაბადებობები, ისევე, როგორც ძრაობის კრიტიკული დაბადელობები წარმოადგენს აუცილებელ მახასიათებელს პლასტიკური დეფორმაციებისათვის. რიგ შემთხვევებში დაშლა არ არის დაკავშირებული კრისტალოგრაფიულ ფაზორთან და ნიმუშში ბზარი ვითარდება უწერიგოდ. თუ იზო-

ტროპული მყარი სხეული გაიწედება, გაიჭიმება მექანიკური დატგიროვების შედეგად, მაშინ მანძილი ატომთა შორის უნდა გაიზარდოს. ამისათვის საჭიროა ნიმუშზე მოვახდინოთ ისეთი დატგიროვა, რომელიც ტოლი იქნება ატომთა შორის კავშირის დამოკიდებულებისა არსებულ მანძილებზე, ხოლო ნიმუშის წაგრძელება შესაბამისობაში იქნება ენერგიის იმ გარკვეულ ხარჯთან, რომელიც საჭიროა ნიმუშის ღრევადი დაფირმაციის მისაღწვად და რომელიც დაშლის პროცესში უნდა იხარჯებოდეს სისტემის ზედაპირული ენერგიის მატებისათვის, მასში ახალი ზედაპირულის წარმოსაქმნელად.

თუ სევდრითი ზედაპირული ენერგია უდრის უს, მაშინ, ნიმუშის ზედაპირების ნაკვეთზე გახდებით წარმოსაქმნელად დახარჯული ენერგია, რომელიც ერთის ტოლია, გაუტოლდება 2y·ს. დაშლის მომენტისათვის საჭირო ენერგიის მნიშვნელოვანი წილი, უნდა დაგროვდეს იმ ატომთა შორის (ან მოლექულებს შორის), რომლებიც ახლოს მდებარეობენ უშუალოდ დაშლის ზედაპირთან. ამდენად, თუ სახ-დაძაბულობაა, რომლის დროსაც იწყება დაშლა, მაშინ  $\sigma_{\text{აშ}}/2E$  არის დრეკადი დეფორმაციის სიმკერივე ანუ ნარჩენდება ჰუკის კანონი და დრეკადობის მოდულის მნიშვნელობაც ჩვეულებრივია. ერთმანეთისაგან ა მანძილით დაცილებულ ატომთა ორ სიბრტყეზე არსებული  $\sigma_{\text{აშ}}/2E$  ენერგია – სიდიდის მიხედვით – ტოლი უნდა იყოს უ ზედაპირული ენერგიისა. შესაბამისად დამშლელი დაძაბულობის სახ სიდიდე შეიძლება ვიპოვოთ ტოლობიდან [1]

$$\sigma_{\text{აშ}} \approx \sqrt{\frac{2yE}{a}} \approx \frac{E}{10}. \quad 1$$

კრისტალური ნივთიერებებისათვის, რომლებსაც დრეკადობის მოდულის სიდიდე (1-5)  $10^5$  MPa ინტერვალში აქვთ, თეორიულ სიმტკიცეს დაახლოებით (1-5)  $10^4$  MPa შეესაბამება. ამ სიდიდის გამჭიმ დაძაბულობებს უძლებენ სხვადასხვა სახის კრისტალური მასალები (ბრენერი 1958). ასეთი განსხვავება პრაქტიკულ და თეორიულ მონაცემებს შორის პირველად ახსნა აა. გრიფიტს [2,3]. გრიფიტს-ოროვანის თეორიის მიხედვით, მყარ სხეულებში თეორიულ და რეალურ სიმტკიცეს შორის განსხვავება მათში არსებული თვალით უხილავი უწვრილესი ბზარების შედეგია, რომლებთანაც მიმდინარეობს დაძაბულობების ძლიერი კონცენტრაცია. ამდენად, დაძაბულობა, რომლის დროსაც ხდება დაშლა, თეორიული სიმტკიცის ტოლია, თუმცა წარმოიქმნება ნიმუშის ზოგიერთ მცირე უძნებში მაშინ, როდესაც ნიმუშზე მოდგელი დაძაბულობის საშუალო სიდიდე ჯერ

კიდევ დიდი არ არის. ბზარის კიდეზე დაძაბულობების კონცენტრაციების გათვლისას გრიფიტს მა გამოიყენა ინგლისის [4] მიერ განვითარებული თეორია იმ შემთხვევისათვის, როდესაც საქმე ეხება დაძაბულობის განაწილებას ძალიან თხელი ელიფსური ფორმის ღრმულის გარშემო. თუ ბზარის 2c მთავრი დერძის მიმართულებით მოქმედებს ნორმალური გამჭიმი საშ დაძაბულობა, მაშინ უდიდესი გამჭიმი დაძაბულობა ბზარის ბოლოში ტოლი იქნება:

$$\sigma_{\text{აშ}} = 2 \sigma_{\text{საშ}} \sqrt{\frac{c}{\rho}}, \quad 2$$

სადაც  $\rho$  არის ბზარის კიდის სიმრუდის რადიუსი.

ფორმულიდან ჩანს, რომ თუ  $\rho$  მიისწრავის ნულისკენ, მაშინ მაქსიმალური დაძაბულობა მიისწრავის უსასრულობისაკენ მაშინაც კი, თუ საშუალო დაძაბულობა ძალიან მცირება. ზედაპირული ბზარი კრისტალზე ც სიღრმით, შექმნის დაძაბულობების დაახლოებით იმავე კონცენტრაციას, როგორსაც შინაგანი ბზარი 2c სიდიდით. შესაბამისად, გრიფიტსის შედეგები მისაღებია როგორც ზედაპირული, ასევე ნიმუშის შიგნით მოცულობაში მდებარე ბზარებისთვის. მოგვიანებით თროვანბა [5] დაასაბუთა, რომ ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სიმრუდის რადიუსი არ შეიძლება იყოს ნულის ტოლი. ის ბზარის კიდეზე დაახლოებით ატომთა შორისი ა მანძილების ტოლი უნდა იყოს. თუ ტოლობაში 2ρ-ს ნაცვლად შევიტანო სიდიდეს ა და მიღებულ გამოსახულებას ტოლობის მარჯვნა მხარეს 1 გავუტოლებთ, მივიღებთ უშუალოდ მოდებული დაძაბულობის საშუალო სიდიდეს, რომლის დროსაც შიკროსკოპული დაძაბულობები ბზარის კიდეზე, სიმრუდით დაახლოებით ატომთა შორისი მანძილებისა მიაღწვენ, დაშლის დაძაბულობის თეორიულ სიდიდეს

$$\sigma_{\text{საბ.}} = \sqrt{\frac{yE}{2C}} \quad 3$$

ამ თეორიის მიხედვით, მყარი სხეულების დაშლა, რომლებშიც ბზარებია და რომლებიც მოქმედებენ როგორც დაძაბულობის კონცენტრაციები, იწარმოებს იმ დაძაბულობის პირობებში, რომლებიც რეალურად დაიმზირება. ამ ბზარებს უნდა ჰქონდეთ 1 mkm სიგრძე და ბზარის კიდეზე, დაახლოებით ატომთა შორისი მანძილების ზომის სიმრუდე. ჩარლზის [6] აზრით ფაქტორი, რომელსაც პროცესი ნივთიერების შედარებით სწრაფ სხვადობასთან მიჰყავს ბზარის კიდეზე, მის კიდეებთან სხვადობასთან

შედარებით (რაც აუცილებელია ბზარის თანდა-თანობითი ზრდისათვის და დაძაბულობების კონცენტრაციის ზრდისათვის), მდგომარეობს იმაში, რომ ბზარის კიდესთან გამჭიმი დაძაბულობების ზრდას პროცესი მიჰყავს კრისტალის სივრცული მესრის შედარებით ძლიერ გაფართოებასთან. ამის ხარჯზე კოროზის სიჩქარე მესრის ამ უბანზე იზრდება.

## 2. ძირითადი ნაწილი


### სტატიკური დაღლილობა

კრისტალური კერამიკების დამახასიათებელ მყიფე დაშლის გარდა თავისუბურებას წარმოადგენს ისიც, რომ მათი სიმტკიცე დამოკიდებულია დოროზე, რომლის განმავლობაშიც მოქმედებს დატვირთვა, ან სიჩქარეზე, რომლითაც აღნიშნული დატვირთვა იზრდება, ანუ დატვირთვის სიჩქარეზე (სურ. 1) [7].

კერამიკული მასალების დიდ უმეტესობას აქვს მინისებური ფაზა, რომელიც შეიცავს ტუბი ელემენტების ჟანგულებს და ისეთ იშვიათ შემთხვევებს აქვს ადგილი, როცა დაშლა შენელებულად მიმდინარეობს. ამ დროს ხშირია სიმტკიცის დამოკიდებულება დატვირთვის სიჩქარეზე (ცხრილი 1).

ზოგადად, შენელებული დაშლა ან სტატიკური დაღლა განხილულ უნდა იქნეს, როგორც

ზოგადი მოვლენა კრისტალურ მასალებთან მიმართებით, რომელიც არ შეიცავს მინისებურ ფაზას.



სურ. 1 დაშლებული დაძაბულობის სიდიდის დამოკიდებულება დატვირთვის მოქმედების ხანგრძლივობაზე. 1. კვარცის მინა (ნესტიანი); 2. ფაიფური (მშრალი); 3. ნატრი-კალცისილიკატური მინა (ნესტიანი)

## ცხრილი 1

კერამიკული კრისტალური მასალების სიმტკიცე კუმშვაზე ან ღუნვაზე-MPa დატვირთვის სიჩქარის დროს 0.13 მმ/წთ. სხვადასხვა აირად გარემოში და სხვადასხვა ტემპერატურის დროს


მასალა	ცდის პირობები			
	თხევადი აზოტი, - 195°C	მშრალი აზოტი 240°C	წყლის გაჯერებული ორთქლი	
			240°C	25°C
კვარცის მინა (კუმშვა)	4 600	4 530	2 570	3 910
გრანიტი (კუმშვა)	2 620	1 380	420	1 640
სპოდუმენი (კუმშვა)	6 680	4 020	3 200	2 710
კვარცი (კუმშვა)	5 720	4 480	2 510	3 670
MgO-კრისტალი (ღუნვა)	2 140	1 870	560	1 000
Al <sub>2</sub> O <sub>3</sub> კრისტალი (ღუნვა)	10 700	8 200	4 800	7 730

## მიკროსტრუქტურის გავლენა


კერამიკული მასალების უმრავლესობისთვის მიკროსტრუქტურის როლი ძირითადად ფორიანი ფაზის გავლენაზე დაიყვანება. არსებული ფორები ამცირებს მასალათა განივი კვეთის ფართს, რომელზეც მოდებულია დატვირთვა და მოქმედებს როგორც დაძაბულობის კონცენტრატორები. იზოლირებულ სფერულ ფორაში დაძაბულობა იზრდება ორჯერ. ცდები ადასტურებს, რომ ფორიანი კერამიკის სიმტკიცე შემცირებულია და ფორიანობის გაზრდით იცვლება დაახლოებით ექსპონენციალურად [8].<sup>1</sup> ჩვენს მიერ უკვე შემოთავაზებულია მაკრომქანიკური მახასიათებლების ფორიან ფაზაზე დამოკიდებულების ფორმულა [9]. მასში მნიშვნელოვანია ვინკელმანისა და შოტკის კრისტალების ზომები, ფორმა და დფუქები, როგორებიცაა სხვადასხვა სახის დისლოკაციები და სხვა. ისეთ მასალებში, როგორცაა ალუმინის და ბერილიუმის ოქსიდები, უქსაძლებელია აღგილი პქონდეს მარცვლების საზღვრების გასწვრივ დაშლას (სურ. 2 და 3).

ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ წვრილ-მარცვლოვანი ნიმუშები მსხვილმარცვლოვანთან

შედარებით უფრო მტკიცეა [10,11,12,13], ვინაიდან გრიფიტსის მიკრობზარების სიგრძე, განისაზღვრება მარცვლების ზომებით. (სურ. 4) სავარაუდოდ ეს მოვლენა დაკავშირებულია მარცვლების საზღვრებზე დაძაბულობების წარმოქმნით ანიზოტროპიული თერმული გაფართოვების შედეგად. ალუმინის უანგის კერამიკის 1900°C-ზე გამოწვის შედეგად შეიძლება წარმოქმნას რამდენიმე მილიმეტრის ზომის მარცვლები. ამ პირობებში საკმაოდ დიდი დაძაბულობები ვლინდება მარცვლების საზღვრებზე, რამაც შეიძლება გამოწვიოს კერამიკის იმდენად დიდი თავისთავადი დაბზარვა, რომ ცალკეული მარცვლები შეიძლება ამოვაგდოთ დანის წვერით. თუ მივიღებთ, რომ მასალისთვის უკელაზე უფრო საშიში ბზარის სიგრძის ნახევარი მარცვლის დიამეტრის ტოლი იქნება, მაშინ, როგორც ეს ტოლობიდან 2 გამომდინარეობს. დამშლელი დაძაბულობის სიდიდე უპაროპორციული უნდა იყოს კვადრატული ფესვიდან მარცვლების ზომისა. მრავალფაზიან სისტემებში, დაშლის სახეობაზე დამოკიდებულებით, ძირითადი როლი შეიძლება ითამაშოს სხვადასხვა ფაქტორებმა.




სურ. 2. რ.ლ. კოუბლის მიხედვით ბზარის გავრცელება ალუმინის უანგის პოლიკრისტალურ კერამიკაში თერმული დარტყმის ზეგავლენით  $\times 150$




სურ. 3. მარცვლების გასწვრივ დაშლა მსხვილმარცვლოვან, მეტრივ ალუმინის უანგის კერამიკაში  $a$  - ანშლიფი  $\times 150$

<sup>1</sup> ექსპონენტიალური დათინურიდან  $y = \exp(x)$ .




სურ. 4. პოლიკრისტალური შემცხვარი  
ბერილიუმის ჟანგის სიმტკიცის დამოკიდებულება  
მარცვლების ზომაზე


ზოგადად, შედარებით დამახასიათებელია სიმტკიცის დამოკიდებულება ფაზების საზღვრებზე დაძაბულობების წარმოქმნისაგან, რომლებიც განპირობებულია მათი სხვადასხვა თერმული გაფართოების კოეფიციენტებით, რასაც შეუძლია გამოიწვიოს შიდა ბზარების წარმოქმნა, რაც ფარიფურში კვარცის მარცვლების არსებობის შემთხვევაში ხშირია [14] (სურ. 5, 6, 7, 8).




სურ. 5. ელექტროსაიზოლაციო ფაიფურში  
ნაწილობრივ გასსნილი კვარცის  
მარცვალი (მოწამლა 10 წმ, 0°C-ზე  
40%-იან HF-ში. ალუმინის რებლიკა,  
x2750 ლანდინის მიხედვით)



სურ. 6. ზედაპირზე წარმოქმნილი კვარცის  
მარცვალი კრისტობალიტის ჩანართებით  
(მოწამლა 20 წმ. 100°C-ზე 50%-იან NaOH-ში.  
კვარცის რებლიკა, x3650).  
ლანდინის მიხედვით




სურ. 7. კერამიკული ბზარის განვითარების წინააღმდეგობების მექანიზმები.  
ა-ბზარის სიდი  $\text{Si}_3\text{N}_4$  კერამიკაში. ბ-გარდაქმნით  
გაძლიერება  $\text{ZrO}_2$ -ს კერამიკაში



სურ. 8. დაბზარული კვარცის მარცვალი დაძაბულობის ბზარით  
ალუმინის ჟანგის შემცველ ფაიფურში

პერსპექტიულად უნდა მივიჩნიოთ მეორე პლასტიური ფაზა, როგორც ბზარების ზრდის შესახერებელი საშუალება, რომლებიც წარმოიქმნება მყიფე ფაზაში. ეს ეხება, მაგალითად კერმეტებს, როგორებიცაა: ვოლფრამის კარბიდი-კობალტი და ტიტანის კარბიდი-ნიკელი. მათ გააჩნიათ მაღალი სიმტკიცე და სიმაგრე, თუმცა მათი დაშლა მყიფეა. დაკვირვებებმა აჩვენა, რომ ბზარები წარმოიქმნება კარბიდების კრისტალებში, მაგრამ ჩერდება ფაზების საზღვარზე. ეს დადასტურდა ჩვენს კვლევებშიც (სურ. 9).



სურ. 9. a, b, c ანაბეჭდი აღებულია სილიციუმის  
კარბიდის მარცვალზე

### თერმული მდგარადობა

თუ კერამიკული მასალა განიცდის მკვეთრ ტემპერატურულ ცვლილებებს – თერმულ დარტყმებს, მაშინ მათში ვითარდება მნიშვნელოვანი დამაბულობები, რაც აზიანებს არა მარტო მატრიცას, არამედ მასში მთავარ გამაძლიერებელ მდგენელს – კრისტალურ ფაზას. რაც მეტია სიმტკიცის ზღვარი, მით უფრო მაღალია თერმული მედგობა, დაბალია დრეპადობის მოდული და თერმული გაფართოების კოეფიციენტი. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი თანაფარდობა მისადებია, როცა ზედაპირის გაცივება მიმდინარეობს იმდენად სწრაფად, რომ მისი ტემპერატურა აღწევს საბოლოო მნიშვნელობას მანამდე, სანამ შეიცვლება ნიმუშის საშუალო ტემპერატურა. ეს პირობა საქმაოდ კარგად შესრულებადია, თუ ბიოს კრიტერიუმი  $\beta = r_m h/k$  უდრის 20-ს ან მეტია მასზე. აქ  $r_m$ -ნაკვთობის სისქის ნახევარია;  $h$ -თბოგადაცემის კოეფიციენტი;  $k$ -თბოგამტარობა.

ზოგადად თუ გამოვიყენებო თერმომდგრადობის მეორე კოეფიციენტს  $R^1 = k\sigma_{\text{თბ}}(1-\mu)Ea$ , სადაც  $\sigma_{\text{თბ}} -$  მექანიკური სიმტკიცეა დუნგაზე;  $\mu$  - პუასონის კოეფიციენტი;  $E$  - ელასტიკურობის მოდული;  $a$  - თერმული გაფართოების კოეფიციენტი.

$$\Delta T_{\text{და}} = R^1 S / 0.31 r_m h \quad 4$$

ტოლობაში შემავალი  $R^1$  რომელიც განისაზღვრება მასალის თვისებებით, ითვალისწინებს მის თბოგამტარობის კოეფიციენტსაც, ხოლო ტემპერატურის მაქსიმალური ცვლილება, რომელსაც ნიმუშმა შეუძლია გაუძლოს დაშლის გარეშე, უკუპროპორციულია მისი ზომისა. ამდენად, აქ მდგომარეობა მეტად რთულია და საჭიროა ცდების ჩატარების პირობების უფრო ზუსტი ანალიზი, რომლის დროსაც გამოიცდება მასალა, ან ამ შზა პროდუქტის გამოყენების საექსპლუატაციო პირობების დეტალური შესწავლა. როგორც ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, ნებისმიერი კერამიკული მასალისა და კომპოზიტების საექსპლუატაციო თვისებები მნიშვნელოვნად

განისაზღვრება მასში მთავარი მდგენელის, კრისტალური ფაზის თვისებებით. აქეთ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მასალაში შემავალი სხვა ფაზები, როგორიცაა მინისებური და ფორიანი ფაზები, გარევულწილად განსაზღვრავენ ნაკეთობის საექსპლოატაციო თვისებებს. კრისტალური მდგენელის ზომები მათი მესერული აგებულება, ფორმა, მატრიცაში გადანაწილების ფაქტორი, მასში არსებული დეფექტები მნიშვნელოვნად განსაზღვრავნენ ნაკეთობის საექსპლოატაციო თვისებებს. ზემოთქმულიდან გამომდინარე საჭიროდ ჩავთვალეთ შემოგვთავაზებინა კრისტალური ფაზის გავლენის კორელაციური<sup>1</sup> [15] დამოკიდებულების ფორმულა მასალათა მექანიკურ თვისებებზე:

$$\sigma_d = \frac{P \cdot F_{kd}}{Km \cdot Kv \cdot F_{kf}},$$

სადაც: P დატვირთვაა MPa; Km - კრისტალების საშუალო ზომა  $\mu\text{m}$ ; Kv - კრისტალების მოცუ-

ლობითი წილი მატრიცაში %; F<sub>kd</sub> - კრისტალების მატრიცაში გადანაწილების ფაქტორი. განისაზღვრება მკვლევარის მიერ. თანაბარი გადანაწილების შემთხვევაში =1-ს, არათანაბარი გადანაწილების შემთხვევაში =0.9. F<sub>kf</sub> - კრისტალების ფორმის ფაქტორი. მიიღება, როგორც კრისტალის უდიდესი მასასიათებელი ზომის ფარდობა უმცირესთან, რაც საშუალებას მოგვცემს დავახასიათოთ კრისტალების მოცულული ერთობლიობის ფორმა. ცხრილში 2, მოყვანილია ჩვენ მიერ მეტალოთერმული და აზოტირების პროცესებით მიღებული და შემდგომ ცხელი წნევებით 1620°C-ზე სინთეზირებული სიალონის კომპოზიტის კრისტალური ფაზის მონაცემები [16], რომლის მიხედვითაც ჩვენს მიერ შემოთავაზებული ფორმულის მიხედვით მატრიცაში შეგვიძლია გავთვალოთ მექანიკური მასასიათებლის კრისტალური ფაზის მასასიათებლებთან კორელაცია.

## ცხრილი 2

### SiC, Al<sub>2</sub>O<sub>3</sub> და SiAlON მარცვლების ზომები და შემცველობა მატრიცაში

ანაბეჭდის სურათის №	ფაზის დასახელება	მხედველობის არე S, $\mu\text{m}^2$	დათვლილი მარცვლების რიცხვი, n	უდიდესი მარცვლის Dmax., $\mu\text{m}$	უმცირესი მარცვლის Dmin. $\mu\text{m}$	მარცვლების Dmid. $\mu\text{m}$	ფაზის შემცველობა, %
17	SiC	1740	85	33,3	2,70	4,80	26,8
13	SiC	3225	300	23,0	2,75	4,90	27,6
საშ.						4,85	27,2
5	SIALON	35500	250	19,6	5,50	8,60	53,0
32	SIALON	8200	200	24,3	5,80	7,50	59,8
26	SIALON	1400	220	21,7	5,30	8,50	59,3
საშ.						8,20	57,4
5	Al <sub>2</sub> O <sub>3</sub>	35500	60	2,6	1,27	1,93	6,0
მარცვლების საერთო საშუალო ზომა						5,00	

<sup>1</sup> (გვიანდათინურიდან correlation-თანაფარდობა) დამოკიდებულება, რომელსაც არა აქვს ცვლილების შევეთრად გამოხატული კანონზომიერება, ვინაიდნ შეუძლებელია ზუსტად იქნეს გათვალისწინებული რამოდენომე ერთდროულად ცვალებადი ფაქტორის გავლენა. გამოიყენება სტატისტიკური და ალბათური კანონზომიერებების დასადგენად ფიზიკაში, ქიმიაში, ტექნიკაში; გამოიყენება ასევე ალბათობის თეორიაში, კიბერნეტიკაში და ა.შ.

$$\sigma_d = \frac{470 \times 1}{5 \times 90.6 \times 5} = \frac{470}{2265} = 0.21,$$

სადაც 470 MPa არის SiAlON-ის კომპოზიტის მექანიკური დუნგაზე.

კუმშვის შემთხვევაში:

$$\sigma_d = \frac{1910 \times 1}{5 \times 90.6 \times 5} = \frac{1910}{2265} = 0.84,$$

სადაც 1 910 MPa არის მასალის მექანიკური დუნგაზე.

### 3. დასკვნა

ფორმულა ითვალისწინებს კრისტალების მოცულობით და ზედამირულ დეგენერაციებს, კრისტალური ფაზის მიკრო- და მაკროსტრუქტურული მოცულობითი და ზედამირულ მორფოლოგიას, შედგენილობას მატრიცაში, მატრიცაში მათ გადანაწილებას და არსებულ გარდაქმნებს ქიმიური და ფიზიკურ-ქიმიური პროცესების შედეგად მასალათა კონსოლიდაციის პროცესში. აღნიშნული თვისებები განისაზღვრება ექსპერიმენტულად. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ფორმულა გამოყენებადია ნებისმიერი კერამიკული მასალებისა და კერამიკული კომპოზიტებისათვის, როგორებიცაა: მეტალოკერამიკა, ბიკერამიკა, მინაკერამიკა, მინამეტალოკერამიკა და სხვ.

ჩვენს ფორმულაში, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად არის დამოკიდებული მასალათა მაკრომექანიკური, ანუ მათი მთლიანად დაშლის მახასიათებლები კრისტალების ზომაზე, ფორმაზე, გადანაწილებასა და შემცველობაზე მატრიცაში, კრისტალის ფორმის ფაქტორზე, გათვალისწინებულია კონსოლიდირებული მასალის სტრუქტურული მდგრელების ყველაზე ძლიერი ფაზის გავლენა თვისებათა იმ ერთობლიობაზე, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ ნაკეთობათა ინდუსტრიაში გამოყენებას და ხანგრძლივობას. თერმული დამტებავების პროცესში უმნიშვნელოვანესია კრისტალების წარმოქმნის დინამიკა, მათი გადანაწილება მატრიცაში, ფორმის ჩამოყალიბება, რაც ნაჩვენებია ჩვენს კპლევაში იმ ფიზიკურ-ქიმიური პროცესების გათვალისწინებით, რომლებიც მიმდინარეობს თერმული აგრესიის დროს. ჩვენი ფორმულა სრულ პასუხს იძლევა კერამიკული ნაკეთობების კრისტალური ფაზის მორფოლოგიასა და მაკრომექანიკურ თვისებათა შორის კორელაციაზე და მისი გამოყენება შესაძლებელია კერამიკისა და კერამიკული კომპოზიტების ყველა სახეობისათვის, რომლებიც გამოყენება მოწინავე ტექნოლოგიებში, ტექნიკის მრავალ დარგში, საყოფაცხოვრებო პირობებში და სხვ.

### ლიტერატურა

1. Кингери У.Д. Введение в керамику. Издательство Литературы по Строительству. Москва. 1967г стр. 390-391.
2. Griffith A.A. Phil. Trans.Roy. Soc. London. A221. 163.1920. First International Congress for Applied Mechanics (Delft). 1924. ed.J. Waltman Delft 1925.
3. Griffith A.A. Phil.Trans. Roy. Soc. London. A221. 163. 1920.
4. Inglis C.E. Trans. Inst. Nav. Archit. 55. 1. 219. 1913.
5. Orowan E. Z. Krist. A89. 327. 1934.
6. Charles R.J. Journ. Appl. Phys. 29. 1549. 1958.
7. Baker T.C. Preston F. W. Journ. Appl. Phys. 17. 170. 1946.
8. ზ. კოვზირიძე. მაკრომექანიკური მახასიათებლების ფორმანი ფაზისაგან დამოკიდებულების ფორმულა. საქართველო. მოწმობა 7276. 2018.03.07.
9. И.И. Артоболевский. Политехнический словарь. Изд-во «Советская энциклопедия». Москва. 1977. стр. 572.
10. Zviad Kovziridze. Jimsher Aneli. Natela Nijaradze. Gulnazi tabatadze. Ceramic and Polymer Composites. Monograph. Lambert Academic Publishing. ISSN:978-620-2-06984-7 International Book Market Service LTD, Member of Omni Scriptum Publishing Group. 2017. Germany.
11. ზ. კოვზირიძე. ნ. ნიჯარაძე. გ. ტაბატაძე. ჯ. ანელი. კერამიკული და პოლიმერული კომპოზიტები. მონოგრაფია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი. საქართველო. 2016. ISSN 978-9941-20-685-6 <http://www.gtu.ge>.
12. ზ. კოვზირიძე. ნ. ნიჯარაძე. გ. ტაბატაძე. ნ. დარაბულიძე. სიალონური და მცირევოლფრამიანი კომპოზიტის მასალები. მონოგრაფია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი საქართველო. 2017. ISSN 978-9941-20-808-9 <http://www.gtu.ge>.
13. ზ. კოვზირიძე. ნ. ნიჯარაძე. გ. ტაბატაძე. მაღალი სიმძლავრის ჰეტერომოდულური კომპოზიტები. მონოგრაფია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი საქართველო. 2014. ISSN 978-9941-20-479-1 <http://www.gtu.ge>.
14. W. Kollenberg. Technische Keramik. Vulkan-Verlag ESSEN. 2004. S. 52. Germany.
15. Е.Л. Шведков и др. Словарь-справочник по новой керамике. Киев Наукова Думка. 1991. стр. 91, ფაცხოვრებო პირობებში და სხვ.

16. Zviad Kovziridze et All. Obtaining of SiAlON Composite via Metal-Thermal and Nitrogen Processes in the SiC-Si-Al-Geopolymer System. Journal of Electronics Cooling and Thermal Control. 2017. 7. 103-122. <http://www.scirp.org/journal/jectc> USA. Delaware.
- 

UDC 621.9.02

## THE FORMULA OF DEPENDENCE OF MECHANICAL CHARACTERISTICS OF MATERIALS ON CRYSTALLINE PHASE COMPOSITION IN THE MATRIX

Z. Kovziridze

Georgian Technical University, Institute of Bionanoceramics and Nanocomposites Technology. Georgia, 0175 Tbilisi, Kostava str. 69

E-mail: kowsiri@gtu.ge

**Resume:** *Goal.* For materials science and generally, for long-term operation of work-pieces in industry the significant role is attributed to dependence of macro-mechanical properties of consolidated body on crystalline phase composition, its dimensions, form, distribution in matrix and the form factor. While working in responsible fields of technology of ceramics and ceramic composites the above referred properties are attributed extremely great role with the view of durability and endurance at the terms of heavy mechanical loads. For description of the resistance of any concrete type work-piece, the crystalline phase plays the greatest role in mechanical strength or deformation of any material. It plays the important role in correlative explanation of materials mechanics and matrix properties. In our case, in the process of destruction of ceramic materials and composites, which will give us exhaustive response to the role of macro- and micro-mechanical properties of materials, the role of a macro- and micro-structural component, that is, of crystalline phase in the process of transition of stable state of materials into meta-stable state is extremely big. Our study aims to develop a formula of dependence of macro-mechanical properties of ceramic and ceramic composites on crystalline phase, the most powerful component of their structure, which will enable theorists and practitioners to select and develop technologies and technological processes correctly.

**Method.** On the basis of the study of micro- and macro-mechanical properties of ceramics and ceramic composites and the morphology of crystalline phase and the analysis of the study we determined and created parameters of the formula.

**Results.** The formula covers macro-mechanical properties, that is when the work-piece is thoroughly destructed: mechanic at bending at three and four-point load, mechanic at contraction; among morphological characteristics: composition of crystalline phase and their spreading in matrix, their sizes, form factor; correlative dependence of the above listed properties. Absolutely new definition of a factor of spreading of crystalline phase in matrix is offered.

**Conclusion.** The created formula is of consolidated nature and it can be used in technology of any ceramic material and ceramic composites. The formula will help practitioners to plan correctly and fulfill accurately all positions of technology of production of work-pieces, to carry out the most responsible thermal treatment process of technology of manufacture of work-pieces; to determine correlation between mechanical and matrix properties of materials.

**Key words:** crystalline phase; macro-mechanical properties; mechanic at bending; mechanic at compaction; factor of spreading of crystalline phase in matrix.

---

ଓৰ্জ 666.762.93.

E-mail: kowsiri@gtu.ge

**რეზიუმე:** მიზანი. კვლევის მიზანს წარმოადგენს სიაღონშემცველი მაღალი საექსპლუატაციო თვისებების მქონე პერსისტენციულ ური კომპოზიტების მიღება  $\text{SiC}$ -  $\text{B}_4\text{C}$  - $\text{Si}$  - $\text{Al}$ - $\text{Al}_2\text{O}_3$  სისტემაში.

**ბეთოლი.** კომპოზიტები მიღებულია რეაქციული შეცხობის მეთოდით.  $600\text{--}1450^{\circ}\text{C}$  ინტერვალში მიმდინარე ქიმიური პროცესები შესწავლილია რენტგენოსტრუქტურული ანალიზის მეთოდით.

**შედეგი.** მიღებულია კომპოზიტები SiC-SiAlON-BN-Al<sub>2</sub>O<sub>3</sub> სისტემაში შემდეგი ფაზური შედგენილობით: სიალონი- Si-Al-O-N, სილიციუმის კარბიდი, ბორის ნიტრიდი, ალუმინის ოქსიდი.

**დასკვნა.** ნაშრომში მოყვანილია მონაცემები C-9 და C-10 კომპოზიტების მიღებისას მიმდინარე პროცესების შესახებ. შესწავლილი და დაღგენილია მიღებული კომპოზიტების ფაზური შედეგებით. β სიალონი- Si-Al-O-N, სილიციუმის კარბიდი, α- ბორის ნიტრიდი, α- ალუმინის ოქსიდი. მასალათა დია ფორმირება შეადგენს 15-16 %.

**საკვანძო სიტყვები:** კომპოზიტი; ბორისა და სილიციუმის გარბიდები; SiAlON; რეაქციული შეცხობის მეთოდი; ბორის ნიტრიდი.

## 1. შესავალი

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება დაკავშირებულია მაღალი საექსპლუატაციო ოვი-სებების მქონე კონსტრუქციული მასალების შექმნასთან. ასეთი მასალების ახალი და პერსპექტიული კლასია – სიალონები [14], რომელებიც მაღალი საექსპლოატაციო ოვისებებით გამოირჩევა, ესაა მაღალი ცეცხლგამძლეობა, კოროზიული მედეგობა მოქლე რიგი აგრესიული მედიების მიმართ, მაღალი მექანიკური მახასიათებლები, მაღალი მასალების სიმტკიცე, საფიცილური ელექტრო და თბოფიზიკური ოვისებები და სხვა [5-8].

მათი სხვადასხვა სუეროში გამოყენების პონ-  
კრეტული მოთხოვნების გათვალისწინებით, შე-  
საძლებელია მისაფეხი ჭრისზე გადასაცემი.

ბის კორექტირება შემადგენლობაში მაგარი მასა-ლების დამატებითი ჩართვით. ასეთი მცდელობა იყო, ჩვენ მიერ, სილიციუმის კარბიდის გამო-ექნებით, რომლის კვლევის შედეგები წარმოდგე-ნილია ნაშრომებში [9 -12]. მიღებული შედეგები ნათლად აჩვენებს, რომ კომპოზიტი, რომლის მატრიცა მ- სიალონია, არმირებულია სილი-ციუმის კარბიდის კრისტალებით და ხასიათდება მაღალი საექსპლუატაციო თვისებებით. SiC-ს დამატებამ გააუმჯობესა კომპოზიტის მექანიკური თვისებები. სწორედ ამ შედეგებიდან გამომდინა-რე, სავარაუდოა, რომ მიღებული კომპოზიტის სისალისა და ცვეთამედევობის უფრო მეტად გაუმჯობესების მაზნით სილიციუმის კარბიდთან ერთად ისეთი ძლიერი კომპონენტის შექვანა კომპოზიტში, როგორიც ბორის კარბიდია, კიდევ უფრო სასურველ შედეგებს მოგვცემს.

## 2. ძირითადი ნაწილი

საწყისი მასადების სახით შევარჩიეთ: პრო-სიანიას საბადოს კაოლინი (უკრაინა), ალუმინის პუდრი (ნანოფენილი), კრისტალური სილიციუმი, სილიციუმის კარბიდი, ბორის კარბიდი, ალუ-მინის ოქსიდის ნანოფენილი (გერმანიის ფირმა ALCOA -ს წარმოების), ნახშირბადის ბოჭკო გერმანიის (Aschland Sud Chemte)-ს წარმოების, ხოლო მაჟტივებელი დანამატების სახით: 100%-ის ზემოთ, მაგნიუმისა და იტრიუმის ოქსიდები და არაგაცის საბადოს პერლიტი (სასომხეთი).

ნარევში შევიყვანეთ პერლიტი, რომელიც შედგება 96% მინისებური ფაზისაგან, ხოლო დანარჩენი – სტრუქტურული წყალი და აირებია. განიცდის დაჭიდრატაციას  $860^{\circ}\text{C}$ -ზე. ამ დროს ხდება სტრუქტურის გაფაზრება და ეს ხელს უწყობს დიფუზური პროცესების ინტენსივიკაციას და ახალი ფაზების წარმოქმნისათვის პირობების შექმნას.


კომპიუტორების მისაღები ნარევების შედგენილობა მოცემულია ცხრილში 1. ამ ნარევებისაგან დამზადდა ცილინდრული ფორმის ნიმუშები, ნახევრადმშრალი დაწნეხვის მეთოდით  $W = 10-12$  მას.%, დაყალიბების წესება იყო 20 მპა. შრობის შემდეგ ნიმუშები გამოიწვა დუმელში აზოტის გარემოში.

## C-9 და C-10 კომპოზიტების მატერიალური შემადგენლობა, მას.%

	საწყისი კომპონენტის შემცველობა, მას. %									
კომპოზიტის ინდუქსი	კაოლინი პროსიანაია (უკრაინა)	Al	Al <sub>2</sub> O <sub>3</sub>	SiC	Si	პერლიტი არაგაფის (სომხეთი)	Y <sub>2</sub> O <sub>3</sub>	MgO	B <sub>4</sub> C	ნახშირ- ბადის ბოჭკო
C-9 1-რეცეპტი	6,5	18.0	22.0	18.0	22.0	2.0	1.5	1.0	9.0	—
C-10 2-რეცეპტი	—	20.0	19.0	20.0	22.0	—	1.5	1.0	13.5	3

სიალონების მიღებისას მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური პროცესების შესახვავდად ნიმუშები გამოიწვა 600-1450°C-ზე. გამომწვარი ნიმუშების

გვლევა ჩატარდა რენტგენსტრუქტურული ანალიზის მეთოდით. რენტგენოგრამები წარმოდგენილია სურათებზე 1, 2, 3.




სურათი 1. C-9 კომპოზიტის X-ray (650-1000°C)



სურათი 1-2 წარმოდგენილი C-9 შედგენილობის 650-1000°C და 1200-1450°C-ზე გამომწვარი ნიმუშების რენტგენოგრამების განხილვიდან ჩანს, რომ 650°C-ზე ნარევში შემავალი ყველა კომპონენტის: SiC, B<sub>4</sub>C, Al, Si, Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>, Y<sub>2</sub>O<sub>3</sub> დიფრაქციული მაქსიმუმებია დაფიქსირებული. ამ კომპონენტები-

დან 750°C-ზე ცვლილება განიცადა მხოლოდ ერთმა კომპონენტმა -ალუმინის პუდრამ, რომლის დამახასიათებელი დიფრაქციული მაქსიმუმები: d<sub>hkl</sub> - 2,338; 2,025; 1,62 ; 432 Å , მნიშვნელოვნად შემცირებულია, გაიზარდა სილიციუმის რევლექსები, d<sub>hkl</sub> - 3.53; 3.13; 2.45 1.81708 Å ; იგივე სურათია

850°C-ზე. საფარაუდოა, რომ ამ ტემპერატურებზე მოხდა C-9-ში შემავალი კაოლინის დეკონფიგურაცია. კონსტიტუციური წყლის გამოყოფის შედეგად მოხდა კაოლინიტის სტრუქტურული რღვევა. ამის შედეგად მიმდინარეობს რეაქცია ალუმინის პუდრასა და კაოლინიტის დაშლის შედეგად წარმოქმნილ  $\text{SiO}_2$ -ს შორის



1200°C ტემპერატურის რაიონში ალუმინის ნაწილი რეაქციაში შევიდა აზოგთან ალუმინის ნიტრიდის წარმოქმნით, შემდეგი რეაქციით:




სურათი 2 . C-9 კომპონიტის X-ray (1200-1450°C)


ეს დადასტურდა 1200°C-ზე რენტგენოგრამაზე ალუმინის ნიტრიდის AlN დამახასიათებელი დიფრაქციული მაქსიმუმებით გამოჩენით  $d_{hkl}$  - 1.985; 1.397 Å; 1250°C-ზე გამოიყო სიალონისა და მულიტის რეფლექსები. 1400°C-ზე წარმოიქმნა ახალი ფაზა ბორის ნიტრიდის, დიფრაქციული მაქსიმუმით,  $d_{hkl}$  - 3.33 Å და არ არის დაფიქსირებული ბორის კარბიდის შაქსიმუმი. იგივე სურათიდა 1450°C-ზე.

ლიტერატურიდან [13] ცნობილია, რომ კარბიდებსა და აზოგს შორის მიმდინარე რეაქციას მივყევართ ნიტრიდების წარმოქმნამდე. ამიტომ მოსალოდნელი იყო ბორის ნიტრიდის წარმოქმნა

ბორის კარბიდისაგან, რომელიც მთლიანად გარდაიქმნა ბორის ნიტრიდად შემდეგი რეაქციით:



სურათზე 3 - C-10-ის 1200-1450°C-ზე მიღებული ნიტრიდის რენტგენოგრამების განხილვიდან ჩანს, რომ 1200°C-ზე დაფიქსირებულია შემდეგი ფაზების არსებობა: SiC,  $\text{Al}_2\text{O}_3$ , Si და AlN. ეს უკანასკნელი ამავე ტემპერატურაზე წარმოიქმნება C-9-ის შემთხვევაშიც. ასევე 1250°C-ზე ჩნდება ახალი ფაზა მულიტი  $3\text{Al}_2\text{O}_3 \cdot 2\text{SiO}_2$ , ხოლო 1400°C-ზე ბორის ნიტრიდი და სიალონი. როგორც ჩანს, ალუმინის ნიტრიდმა და მულიტმა მიიღო მონაწილეობა სიალონის წარმოქმნაში. იგივე სურათიდა 1450°C-ზე.



ნახ.3. C-10 კომპოზიტის X-ray ( $1200-1450^{\circ}\text{C}$ )

აღებული ორი ნარევის: C-9 და C-10-ის განსხვავებული შედგენილობის მიუხედავად,  $1400-1450^{\circ}\text{C}$ -ზე მიღებულია ერთნაირი ფაზური შედგენლობის კომპოზიტი.

ბორის ნიტრიდი წარმოადგენს ბორის და აზოტის ერთადერთ ნაერთს ლდობის მაღალი ტემპერატურით  $3200^{\circ}\text{C}$  აზოტის წევებს. სიმკვრივე 2.2-2.35გ/სმ<sup>3</sup>. პრაქტიკული დანიშნულების არის ორი მოდიფიკაცია - ჰექსაგონური  $\alpha\text{-BN}$  და კუბური  $\beta\text{-BN}$ . ჰექსაგონური ბორის ნიტრიდის სტრუქტურა მსგავსია გრაფიტის სტრუქტურისა, ამიტომ მას ხშირად „თეთრ გრაფიტს“ ან „თეთრ მურს“ უწოდებენ. მის სტრუქტურაში ბორის და აზოტის ატომები მონაცვლეობენ  $z$  დერძის გარშემო. ჰექსაგონური ბორის ნიტრიდი წარმოადგენს ოთხრ წვრილდისაქრსიულ ფაზების. მისი სიმაგრე მოოსის სკალით უდრის 2-ს. არის დიელექტრიკი, მაღალ ცეცხლგამძლე, ქმიურად და ოქრმულად მედეგი, რაც განაპირობებს მის ფართო გამოყენებას ტექნიკის სხვადასხვა დარგში.

### 3. დასკვნა

ნაშრომში მოყვანილია მონაცემები C-9 და C-10 კომპოზიტების მიღებისას მიმდინარე პროცესების შესახებ. შესწავლილი და დადგენილია მიღებული კომპოზიტების ფაზური შედგენლობა:  $\beta$ - სიალონი-  $\text{Si-Al-O-N}$ , სილიკოზის კარ-

ბიდი,  $\alpha$ - ბორის ნიტრიდი,  $\alpha$ - ალუმინის ოქსიდი. მასალათა დია ფორიანობა შეადგენს 15-16 %.

### ლიტერატურა

1. Чухолина Л.Н. Способ получения порошка сиалона. <http://bd.patent.su/2378000>, 2012.11.18.
2. Боярина И.Л., Пучков А.Б. и др. Сиалоны- новый огнеупорный материал //Огнеупоры, 1981, № 12, с. 24.
3. Гавриш А.М., Пучков А.Б., Боярина и др. Образование сиалона в системе  $\text{Si}_3\text{N}_4\text{-Al}_2\text{O}_3\text{-AlN}$ . Огнеупоры, 1988, № 8, с. 28-29.
4. Trigg M.B., Jack K.H. SiALON Ceramics// Mat. Sci. v.23, 1988, p.481-487.
